

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N3**

ქ. ლანჩხუთი

21.02.2020 წ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე**.

კომისიის წევრები: ცისანა ურუშაძე, კახა ბოლქვაძე, ოთარ პატიეშვილი, სპარტაკ კვაჭაძე, ზაზა წულაძე, იოსებ ჩხაიძე, ბესიკ კუპრაძე, კახა თედორაძე, ვენე კვირკველია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლელა ჩახვაძე, რეზო კვაჭაძე, ელისო ჭიჭინაძე, ემზარ თევდორაძე, ამირან ქანთარია, აკაკი იმნაიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **თენგიზ ხელაძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი **ოთარ ზენაიშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) **ნინო ძიძიგური**, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი **საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრაღიძე**.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გვარჯალაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი გვარჯალაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 10, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში სხდომას

გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გვარჯალაძემ და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა. ინფრასტრუქტურული პროექტებით გრძელვადიან პერიოდში სარგებლობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჩაიბაროს ხარისხიანი სამუშაოები, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტს შეუძლია როგორც შიდა კონტროლის სისტემის გამართვით, ასევე სამუშაოების ხარისხზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებით. ხელშეკრულების თანახმად, შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს სამ წელს, რომლის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. 10გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის 22 ივლისს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „სამკუთხედს“, ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში, გულიანიდან სუფსის სარკინიგზო გადასასვლელამდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისთვის, სახელშეკრულებო ღირებულებით – 3.0 მლნ ლარი.¹¹ პროექტი გულისხმობდა ერთფენიანი ასფალტის მოწყობას, რომელიც უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 30 ნოემბერს.

2017 წლის 28 ნოემბერს, მიმწოდებელმა დაასრულა სამუშაოები. ექსპერტიზის დასკვნით და ინსპექტირების ჯგუფის მიერ დადასტურდა სამუშაოების ხარისხიანად შესრულება.¹² მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა შესრულებული სამუშაოები და მიმწოდებელს აუნაზღაურა 2,995.8ათასი ლარი. 2019 წლის ოქტომბერში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტი. გამოვლინდა, რომ ასფალტის საფარი რამდენიმე მონაკვეთზე მნიშვნელოვნადაა დაზიანებული.

ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მოწყობილი ასფალტბეტონის გზა

გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევისა, დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ დაზიანებულია 1,730.5 ათასი ლარის ღირებულების შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ: სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მოწყობილი გზის საფარი, წყალსადენის სისტემა, ბეტონის საყრდენი კედელი, სანიაღვრე არხი, გაბიონი, სკვერში მოწყობილი ფილები, საჭიდაო დარბაზის კედლები და ჭერი. ასევე დაზიანებულია და არ ფუნქციონირებს მდინარე სუფსაზე მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობა. აღნიშნული სამუშაოები მუნიციპალიტეტის მიერ ჩაბარებულია სრულად. ამ სამუშაოების მოცულობები და ხარისხი დადასტურებულია შპს „რეალექსპერტის“, შპს „არდას“, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნებით. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი დადასტურებულია ექსპერტიზით, აუდიტის ჯგუფის დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას, რაც მიაწინებს ხარისხის პრობლემაზე.

დათვალიერების მომენტისათვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდათ მოქმედი საგარანტიო ვადა, რომლის ფარგლებში უნდა მომხდარიყო არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება. ობიექტებზე არსებული დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით, აღნიშნული¹⁴ შემთხვევიდან 5 შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებლებს, თუმცა მათ

დაზიანებები არ გამოუსწორებიათ, ხოლო დამატებითი ღონისძიებები, მერიას არ გაუტარებია. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლის შემდგომ, მუნიციპალიტეტმა დამატებით 4 ობიექტზე მიმართა მიმწოდებლებს არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. 5 შემთხვევაში, მერიას არ განუხორციელებია სათანადო რეაგირება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განაცხადა, აუდიტის დასკვნით დახარვეზებული 14 ობიექტიდან 4-ზე არსებული ხარვეზები უკვე აღმოფხვრილია. დანარჩენ ობიექტებთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მიზნით კონტრაქტორ ორგანიზაციებთან გაგზავნილია წერილები. აუდიტის დასკვნაში ნახსენებია გვიმზალაურში საჭიდაო დარბაზის პრობლემა და იქმნება შთაბეჭდილება თითქოს დარბაზის კედლები და იატაკი დაზიანებულია უხარისხოდ გაკეთებული სახურავისგან წვიმის გატარების შედეგად. ფაქტიურად ყველამ ვიცით, რომ აღნიშნული დაზიანება შენობამ მიიღო სახურავის გამოცვლის პროცესში, აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება მშენებელ ორგანიზაციასთან. წერილი მზადდება რომელიც გაეგზავნება იმ კონტრაქტორ ორგანიზაციას რომელმაც შეასრულა მდინარე სუფსაზე ნაგავდამჭერის სამშენებლო სამუშაოები. ასევე წერილი გაეგზავნა ჯიხეთის გზის პრობლემასთან დაკავშირებით სამშენებლო ორგანიზაციას, შედეგი როგორი იქნება წინასწარ ვერ გეტყვით. ვერ დავეთანხმებით სახელმწიფო აუდიტის დასკვნის იმ ნაწილს რომელიც შეეხება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს. კერძოდ ხელმოკლე ოჯახების სახურავების შეცვლა განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ, ხოლო ამ კატეგორიას არ მიკუთვნებულ ოჯახებს გადაეცათ სახურავისთვის საჭირო სამშენებლო მასალები. სამწუხაროდ ზოგიერთმა მათგანმა გაყიდა მიღებული სამშენებლო მასალა, ხოლო უმეტესობას დღემდე დასაწყობებული აქვთ და ელოდებიან ხელსაყრელ მომენტს რათა სრულყოფილად გადახურონ თავიანთი საცხოვრებელი სახლები. ჯამში მუნიციპალიტეტმა 490 ოჯახს გაუწია დახმარება შესაძლებლობის ფარგლებში რაც იმას გულისხმობს სტიქიის შედეგები ბოლომდე ლიკვიდირებული ვერ იქნებოდა. დასახელებულ 490 ოჯახიდან 54 ოჯახს (მარტო, სოციალურად დაუცველი, შ.შ.მ პირები) სრულად გამოეცვალათ სახურავები.

კომისიის წევრმა **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ აუდიტის დასკვნამდე გამოთქვამდა ექვს ჯიხეთის გზის სამშენებლო სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით და მივესალმები თუ რაიმე სინათლე იქნება შეტანილი ამ საკითხში ხომ უნდა გვცოდნოდ, რომ ამ გზით მძიმე წონიან მანქანებს სარგებლობის უფლება არ ქონდა.

კომისიის წევრმა **ბესო კუპრაძემ** აღნიშნა, რომ აუდიტის დასკვნაში არ მოხვდა ის პრობლემა რომელზედაც მე სისტემატურად ვამახვილებ თქვენს ყურადღებას. ეს არის სუფსაში სანიაღვრე არხის და გზის შეუსაბამობის პრობლემა, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაკეთდეს?

კომისიის წევრმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ დაგეგმვის პროცედურა მუნიციპალიტეტში არის ცუდი, ეს სამსახურების ბრალი და ხელმძღვანელობის ბრალია და კეთილი ინებონ გამოასწორონ ეს პრობლემები. საკრებულომ უნდა შექმნას კონტროლის მექანიზმი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსმა **ოთარ ზენაიშვილმა** აღნიშნა, რომ მერიაში შექმნილი სატენდერო კომისია იხილავს ტენდერების მიმდინარეობის პროცედურებს და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში იღებს სამართლიან გადაწყვეტილებებს. კომისიის ყველა წევრი იღებს სრულ პასუხისმგებლობას ყველა მიღებულ

გადაწყვეტილებებზე, რომლებიც შესაბამისობაშია კანონთან. ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ როცა გამოგვეგზავნა აუდიტის დასკვნის სამუშაო ვარიანტი ე.წ. შუალედური დასკვნა გაუგზავნეთ ჩვენი უარყოფითი დაპოკიდებულება დასკვნის იმ ნაწილზე, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებს შეეხება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ღიანჭყუაძის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებითა გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში ცნობად იქნეს მიღებული.

2. სხვადასხვა.

1. კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გვარჯალაძემ კომისიას გააცნო განცხადება სადაც ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობა ითხოვს გარე მოსაცდელის გაკეთებას. ასევე ქალაქის ცენტრში ვითხოვთ გარე მოსაცდელის გაკეთებას და ქაფჭავაძის, გვარჯალაძის, ზესიკის, ჩაჩავას, წულაძის და მდინარაძის ქუჩების ასფალტირებას.

2. საკრებულოს წევრმა კახა თედორაძემ აღნიშნა, რომ ღრმადელის ადმინისტრაციულ ერთეულში 140 წლის გაბიონი აგარიულ მდგომარეობაშია, მოსახლეობას და ხიდებს საფრთხე ემუქრება, ვითხოვ გაბიონის გამაგრებას, რომ შემდგომში საფრთხე არ შეუქმნას მოსახლეობას, ასევე ვითხოვთ სოფ. წყალწმინდის მთავარ მაგისტრალზე ყოფილი ს.ა.ი. პოსტის მიმდებარედ მოსახვევში ვიდეო თვალის და გარე განათების გაკეთებას.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე:

გ. გვარჯალაძე /გიორგი გვარჯალაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კაბატიას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N3

ქ.ლანჩხუთი

21.02.2020 წ.

2020 წლის 21 თებერვალს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული
პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების
გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-
2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში მიღებული იქნეს ცნობად.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე

გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის
სარეგისტრაციო ფურცელი

21.02.2020 წელი

12:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	გიორგი გვარჯალაძე	11:45	გ. გვარჯალაძე
2.	ცისანა ურუშაძე	11:50	ც. ურუშაძე
3.	კახა ბოლქვაძე	11:57	კ. ბოლქვაძე
4.	ბესიკ კუპრაძე	11:57	ბ. კუპრაძე
5.	ოთარ პატიშვილი	11:55	ო. პატიშვილი
6.	სპარტაკ კვაჭაძე	11:59	ს. კვაჭაძე
7.	ლელა ჩახვაძე	—	ლ. ჩახვაძე
8.	ზაზა წულაძე	14:00	ზ. წულაძე
9.	რეზო კვაჭაძე	—	რ. კვაჭაძე
10.	კახა თედორაძე	11:55	კ. თედორაძე
11.	იოსებ ჩხაიძე	11:55	ი. ჩხაიძე
12.	ამირან ქანთარია	—	ამ. ქანთარია
13.	აკაკი იმნაიშვილი	—	აკ. იმნაიშვილი
14.	ელისო ჭიჭინაძე	—	ელ. ჭიჭინაძე
15.	ირაკლი მარშანიშვილი	—	ირ. მარშანიშვილი
16.	ემზარ თედორაძე	—	ემ. თედორაძე
17.	ვენე კვირკველია	11:55	ვ. კვირკველია